ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს სხდომის

ოქმი# 2

ქ. ცაგერი

28.02.2022

სხდომა დაიწყო 12:00

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-მარიკა კოპალიანი.

სხდომას ესწრებოდნენ : მ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, ო. ჩაკვეტაძე, კ. მუშკუდიანი, მ. ხაბულიანი, თ. ნემსიწვერიძე, დ. ჩაკვეტაძე, შ. დვალი, მ. ახვლედიანი, ნ. ბურჯალიანი.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ნ. ტვილდიანი, მ. სვანიძე, ზ. ყურაშვილი, ი. ყურაშვილი, ბ. ~~სვანიძე~~. [illegible]

თავმჯდომარემ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წევრებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგი

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებები.
2. გენდერული თანასწორობის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა.

დღის წესრიგი მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა თ. ნემსიწვერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2022 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებების შე4სახებ.

გამოიკვეთა მარტის თვის ღონისძიება „ქალთა საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით და საბჭოს წევრების სრული მხარდაჭერით სიმბოლური საჩუქრები გადაეცემათ:

1. უხუცეს ექთანს სასწრაფო-სამედიცინო დახმარებაში.
2. ახალგაზრდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექთანს.
3. უხუცეს მეეზოვე ქალს.
4. ახალგაზრდა მეეზოვე ქალს.
5. უხუცეს პოლიციელ ქალ თანამშრომელს.
6. ახალგაზრდა პოლიციელ ქალ თანამშრომელს.
7. ყველაზე ახალგაზრდა მრავალშვილიან დედას.

აზრი გამოთქვეს: თ. ნემსიწვერიძემ , მ. ახვლედიანმა, კ. მუშკუდიანმა.

მოისმინეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მ. კოპალიანმა საბჭოს

წევრებს გააცნო ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საბჭოს დაემატა ერთი წევრი რევაზ ახვლედიანი-ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მ. კოპალიანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე: /მ. კოპალიანი/

მდივანი: / თ. ნემსიწვერიძე/